

GRASS-ის დეზინფორმაციის ბრიფი - პუბლიკის ომი უკრაინაში

8 აგვისტო - 14 აგვისტო

მიმდინარე გამოცემის თემები:

- რუსოფობია და მეორე ფრონტი - პროპაგანდის ფავორიტი საკითხები
- შიშის დამთესავი ნარატივები ომის საქართველოში გავრცელების შესახებ:
- პრორუსული პროპაგანდა: ომში დამნაშავე დასავლეთია
- უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარება
- დეზინფორმაცია სანქციების ეკონომიკური შედეგების შესახებ
- რუსეთის მხარდამჭერები კვლავ საქართველოს ნეიტრალიტზე მსჯელობენ
- დასავლეთი - საქართველოს ყველა პრობლემის მიზეზი
- ყურადღება, ლაპარაკობს მოსკოვი: რუსული დეზინფორმაცია Facebook-სა და Instagram-ზე

დეზინფორმაციული ნარატივები უკრაინის ომის შესახებ საქართველოში (8-14 აგვისტო)

რუსოფობია და მეორე ფრონტი - პროპაგანდის ფავორიტი საკითხები

ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შესახებ მიმდინარე მსჯელობა წარმოადგენს. პროპაგანდის მტკიცებით, საქართველოში რუსოფობია და რუსეთის მოქალაქეებს თავს ესხმიან. პარალელურად, როგორც ჯამური ინტერაქციების, ისე გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის მიხედვით წამყვან პოზიციას ინარჩუნებს ყალბი მტკიცება, რომ დასავლეთი/უკრაინა/ქართული ოპოზიციური პარტიები საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას ცდილობენ. გასული კვირის მსგავსად, როდესაც ზემოხსენებული ორი გზავნილის ურთიერთგადაჯახვული ხასიათი გამოიკვეთა, მიმდინარე კვირაში ეს ნარატივები თითქმის სრულად შეერწყა ერთმანეთს და პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ დასავლეთი საქართველოში მოქმედ მხარდამჭერებთან ერთად რუსეთთან ომის დასაწყებად რუსოფობიას აღვივებს. ამავდროულად, [მმართველი პარტიის](#) ფაქტორის გათვალისწინებით, აღნიშნულმა ნარატივებმა ადგილი დაიკავეს ძირითად საზოგადოებრივ დისკურსშიც. ოთხი დეპუტატი, რომელთაც მხოლოდ ფორმალურად დატოვეს მმართველი „ქართული ოცნების“ რიგები (სოზარ სუბარი, მიხეილ ყაველაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე და გურამ მაჭარაშვილი) კვლავ თავს დაესხნენ აშშ-ის საელჩოს და ის მას როგორც [„ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“](#) შეთქმულებასა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ

სახელმწიფო გადატრიალების [დაგეგმვაში](#) დაადანაშაულეს, ისე საქართველოსთვის რუსეთთან ომში ჩართვის [მოთხოვნების](#) წაყენებაში:

- პრორუსული „ალტ-ინფო“ [ამტკიცებდა](#), რომ საქართველოს ომში ჩართვის მეორე ფაზა დაწყებულია, რადგან „ომის პარტიები“ (იგულისხმება ოპოზიციური პარტიები), არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი დასავლელი პარტნიორები საქართველოში რუსი ტურისტების წინააღმდეგ პროვოკაციებს აწყობენ რუსეთის გაღიზიანებისა და დამაბულობის ისეთი გამწვავების მიზნით, რომ ვითარება სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდოს. სხვა პროპაგანდისტული Facebook-გვერდები და [გამოცემები](#) ასევე [ამტკიცებდნენ](#), რომ ოპოზიცია ძალებს არ იშურებს, რომ რუსეთი თავს დაესხას საქართველოს და ამ მიზნით ლანძღვენ და სცემენ რუს ტურისტებს და მოითხოვენ, რომ ისინი საქართველოში ვიზების გარეშე არ შემოუშვან.
- ანტიდასავლურმა ორგანიზაციამ - „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ - [გამოაქვეყნა](#) ვიდეო სადაც ამტკიცებს, რომ ომი უკრაინაში ავტომატურად ნიშნავს საქართველოს ომში ჩართვის განუწყვეტელ მცდელობებს. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ დასავლეთი ორგანიზებულად ცდილობს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას. ამავე მტკიცებით, ადგილობრივი „მეხუთე კოლონის“ (იგულისხმება ოპოზიცია) მოწოდებები, ევროკავშირის გაუმართლებელი გადაწყვეტილება არ მიენიჭებინა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი, რასაც უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფო გადატრიალება და სამსაათიანი შეხვედრის დროს აშშ-ის ელჩის მხრიდან განხორციელებული ზეწოლა ბიძინა ივანიშვილზე ამ ძალისხმევის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა. ვიდეოს ავტორი აცხადებდა, რომ ზემოხსენებული ტაქტიკის ჩავარდნის შემდეგ, ლიბერალები ახალ გეგმაზე გადაერთვნენ და რუსი ტურისტებისთვის შეურაცხყოფის მიყენების ორგანიზებული კამპანია დაიწყეს. მან ლიბერალები ქსენოფობიასა და

ეთნიკურობის ნიადაგზე რუსების წინააღმდეგ ძალადობრივ მოწოდებებში დაადანაშაულა. ვიდეოში ასევე გაჟღერებული იყო მტკიცება, რომ ამ ყველაფრის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ისეთ სახელმწიფოდ გადაქცევა, სადაც ფართოდ გავრცელებული იქნება ანტირუსული ქსენოფობია, რაც პოტენციურად რუსეთს საქართველოს დენაციფიკაციისა და ქვეყანაში შეჭრის/ომის დაწყების მიზეზს მისცემს,

- პრორუსულმა „ალტ-ინფომ“ [განაცხადა](#), რომ ანტირუსული ისტერია და ქსენოფობია ახალ სიმაღლეებს აღწევს და ამჟამად, საქართველოში მყოფ რუს ტურისტებზე [თავდასხმები](#) მიმდინარეობს. პროპაგანდისტული მედიების თანახმად, „მეხუთე კოლონა“ საქართველოს ომში ჩასათრევად რუსი დამსვენებლების და ტურისტების წინააღმდეგ სიძულვილს აღვივებს. „ალტ-ინფოს“ მტკიცებით, ამ მიზნით ოპოზიცია და მასთან აფილირებული მედიები ქმნიან უამრავ ყალბ ახალ ამბავსა და ირაციონალურ საფრთხეს და რუს ტურისტებს „ფსბ“-ს ჯაშუშობაში ადანაშაულებენ.
- ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი, დიმიტრი ლორთქიფინაძე, რომელიც მცირე ხნის წინ დაბრუნდა მოსკოვში რუს პროპაგანდისტებთან გამართული სამუშაო ვიზიტიდან, პრორუსულ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში [განაცხადა](#), რომ რუსი მოქალაქეები და ტურისტები საქართველოში იდევნებიან, რაც წარმოადგენს დასავლეთის მორიგ მცდელობას მას შემდეგ, რაც საქართველოს და რუსეთს შორის კონფლიქტის გაღვივებაზე ორიენტირებული წინა მცდელობები ჩაიფუშა.
- ანტიდასავლურად განწყობილი ჟურნალისტი, ზაურ ნაჭყებია [განაცხადა](#), რომ რუსების მასობრივი შემოდინება არ წარმოადგენს კატასტროფას სხვა უცხოელების მასობრივი ექსპანსიის ფონზე. მისი მტკიცებით, საქართველოში

გავრცელებული ანტირუსული ისტერია ქვეყნის შიდა და გარე მტრების ავანტიურაა, რომ რუსეთთან ახალი დაპირისპირების მიზეზი შეიქმნას.

- პრორუსულმა გამოცემამ „საქართველო და მსოფლიო“ [განაცხადა](#), რომ ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და დასავლელი „მეგობრები“ ცდილობენ ყველაფრის რუს ტურისტებზე დაბრალებას და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული კამპანია მიზნად ომის გამოწვევას ისახავს.
- მორიგმა პრორუსულმა Facebook-[გვერდმა](#) განაცხადა, რომ ყველა რუსი უნდა გვიყვარდეს.

შიშის დამთესავი ნარატივები ომის საქართველოში გავრცელების შესახებ:

- პრორუსული ალტ-ინფო [ამტკიცებდა](#), რომ საქართველო დგას ომის მწვავე საფრთხის წინაშე, რადგან შიდა მოლაღატეები (იგულისხმება ოპოზიცია) და გარე მტრები (იგულისხმება დასავლეთი) ცდილობენ საქართველოს ომში ჩათრევას და [მეორე ფრონტის](#) გახსნას. პროპაგანდისტული არხის თანახმად, აღნიშნულმა ძალებმა (დასავლეთმა) ომი უკრაინაში რუსეთის დასასუსტებლად დაგეგმეს და უკრაინას ომის თავიდან არიდება არ შეეძლო.
- „ალტ-ინფომ“ ასევე [განაცხადა](#), რომ აშშ-ის საელჩოს საქართველოში სურს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება საქართველოს ომში ჩასართავად.
- „ალტ-ინფოს“ და პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი [ამტკიცებდა](#), რომ დასავლეთს არ ადარდებს დემოკრატია და ადამიანის უფლებები საქართველოში და მხოლოდ სურს, რომ საქართველომ გაატაროს რუსეთის გაღიზიანების პოლიტიკა და საბოლოო ჯამში, რუსეთთან ომი გამოიწვიოს.

- ცნობადმა სახემ და პროპაგანდისტმა, ლალი მოროშკინამ, [განაცხადა](#), რომ საქართველოს ომში ჩასათრევად მასშტაბური პროვოკაცია მზადდება, კერძოდ საქართველოში რუსი ჟურნალისტის მკვლელობა. მან აღნიშნულის ორგანიზებაში ირიბად უკრაინა დაადანაშაულა.
- პრორუსული გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ შეთხზული შეთქმულების თეორიის [თანახმად](#), დასავლეთი საქართველოს უბიძგებს მეორე ფრონტის გასახსნელად, რომლის შედეგადაც, საქართველო უკრაინის მსგავსად დამოკიდებული გახდება ევროპასა და აშშ-ზე იმ მიზეზით, რომ ქვეყანას არ გააჩნია საკმარისი შეიარაღება, რადგან აშშ-ის მიწოდებული „ჯაველინები“ არ არის საკმარისი. სტატიაში გაჟღერებული იყო მოსაზრება, რომ ეს შედეგად მოიტანდა ან საქართველოს არსებობის შეწყვეტას ან საომარ პოლიგონად გადაქცევას, რომელიც შეასრულებდა დასავლეთის მოთხოვნებს და ყოველდღე სამხედრო და სამოქალაქო პირებში ასეულობით მსხვერპლი ეყოლებოდა.

პრორუსული პროპაგანდა: ომში დამნაშავე დასავლეთია

პუტინის განცხადებით, დასავლეთს კონფლიქტები ჰეგემონიის შესანარჩუნებლად სჭირდება და შესაბამისად, უკრაინელი ხალხი საზარბაზნე ხორცად აქცია; ხოლო თავდაცვის მინისტრ შოიგუს მტკიცებით, რუსეთს უკრაინაში ბირთვული იარაღის გამოყენება არ სჭირდება მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი უპირისპირდება დასავლეთის ერთობლივ ძალას, რომელიც უკრაინის ხელისუფლებას აკონტროლებს. აღნიშნულ განცხადებებს მხარი აუბა პროპაგანდამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ უკრაინას აშშ და დასავლეთი მართავენ და სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ომის დაწყებაზე:

- პრორუსული Facebook-მომხმარებელი დიტო ბიძინაშვილი [ამტკიცებდა](#), რომ გავრცელებული ინფორმაციით, გამომდინარე იქიდან, რომ ზელენსკის უნდა

უფრო მეტი დაფინანსების მიღება და ამერიკელებს უნდათ რუსეთზე ზეწოლის გაძლიერება, უკრაინული ძალები მობილიზაციას ახორციელებენ ხარკოვის და ხერსონის მიმართულებით მასშტაბური კონტრშეტევის დასაწყებად და კვლავ მოხდება ახალი სისხლისღვრა. თუმცა, ამავე Facebook-მომხმარებლის თანახმად, რუსეთი, რა თქმა უნდა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ფლობს და ემზადება.

- ანტიდასავლურმა Facebook-გვერდმა [გაავრცელა](#) ყალბი მტკიცება, თითქოს ტრამპმა განაცხადა, რომ ბაიდენი უკრაინის ომით ფულს შოულობს.
- პრორუსულმა „ალტ-ინფომ“ ქართველი ოპოზიციონერი დეპუტატის, ხატია დეკანოიძის, განცხადება იმგვარი ინტერპრეტაციით [წარმოაჩინა](#), თითქოს უკრაინამ ისტორიული დარტყმა საკუთარ თავზე მიიღო ცივილიზებული სამყაროს აყვავებისთვის და ამტკიცებდა, რომ ზელენსკი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებს და მას დასავლეთი აკონტროლებს.
- „ალტ-ინფოს“ [მტკიცებით](#), შეუძლებელია უკრაინის გამარჯვება ამ კონფლიქტში, რომელიც გლობალურ ხასიათს ატარებს. „ალტ-ინფოს“ შეფასებით, ამერიკაში არის რაციონალურად მოაზროვნე ელიტა, რომელიც ბევრ რამეს შეცვლის ნოემბრიდან და რომელიც უპირისპირდება ამჟამინდელ ამერიკულ ელიტებს და ამ ფორმით მიანიშნა, რომ აშშ ომის დაწყებაზე გარკვეულწილად პასუხისმგებელია.
- „ალტ-ინფომ“ უკრაინის მოქმედი ხელისუფლება კოლექტიური დასავლეთის მარიონეტად წარმოაჩინა და შესაბამისად, დაადანაშაულა, რომ უკრაინის ეროვნულ ინტერესებით მოქმედების ნაცვლად, ისინი დასავლეთის საჭიროებების დაკმაყოფილებას ცდილობენ.
- „ალტ-ინფომ“ [გაავრცელა](#) მუსიკალური ჯგუფის, „პინკ ფლოიდის“, წევრის როჯერ უოტერსის ინტერვიუ, რომელმაც ბაიდენს ომის კრიმინალი უწოდა იმიტომ, რომ მან არ აიძულა ზელენსკი მოლაპარაკებებზე წასულიყო. უოტერსი

ასევე ამტკიცებდა, რომ ომი NATO-ს რუსეთის საზღვრებთან გაფართოვებამ გამოიწვია.

- პრორუსული გამოცემამ „საქართველო და მსოფლიო“ [განაცხადა](#), რომ უკრაინაში მიმდინარე ომი არის არა მოსკოვსა და კიევს, არამედ დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაა. გაზეთის თანახმად, დასავლეთის მიერ ორგანიზებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ შესაძლებელი გახადა უკრაინელი ხალხის საზარბაზნე ხორცად გამოყენება და რუსეთს სხვა გზა აღარ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მიეღო გამოწვევა და დასავლეთს შებრძოლებოდა. პრორუსულმა გამოცემამ დაასკვნა, რომ კრემლი აცნობიერებს, რომ ეს ომი არ დამთავრდება უკრაინის ფაშისტური მთავრობის დამხობით, არამედ დასავლეთის დამარცხებით, რადგან რეალური ომი არა რუსეთს და უკრაინას, არამედ რუსეთს და დასავლეთს შორის მიმდინარეობს.
- „სპუტნიკ საქართველო“ [ამტკიცებდა](#), რომ „მოკავშირეთა ძალები“ [რუსეთის და დონბასის არმიები] წარმატებით მიიწვევენ წინ და ახერხებენ უკრაინული ძალების თავდაცვის გარღვევას. ამას გარდა, „სპუტნიკის“ თანახმად, უკრაინა განიცდის წარმატებული კონტრშეტევის დასაწყებად საჭირო ცოცხალი ძალის, კვალიფიციური სამეთაურო რგოლისა და საბრძოლო აღჭურვილობის დეფიციტს, რადგან მდინარე დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე განლაგებული რუსული ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს შეუძლიათ გაანადგურონ ნებისმიერი ზომის არმია, რომელიც შეეცდება იერიშზე გადასვლას მიკოლაივიდან ან კრივი-რიჰიდან.
- პრორუსული პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელმა, [მიუწოდა](#) „ავადმყოფი ერის“ [იგულისხმება უკრაინა] სრული დენაციფიკაციისკენ“. რეგიონული განყოფილების Facebook-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, უკრაინელი ნაციტების მეთაურმა, კორჩინსკიმ, სამხედრო ტყვეების დახოცვის

მოწოდება გააკეთა (რაც, ამავე მტკიცებით, მოგვიანებით სისრულეში იქნა მოყვანილი) და ახლა მოუწოდებს ზაპოროჟიას ატომურ ელექტროსადგურზე დარტყმისკენ, მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი მსხვერპლი გამოიწვიოს. „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ დაასკვნა, რომ უკრაინელები „ტერორისტები და ნაცისტები“ არიან, რომლებიც საკუთარ ხალხსა და არმიას სწირავენ, საქართველოს მეორე ფრონტის გახსნისკენ მოუწოდებენ და აღმოსავლეთ ევროპას რადიაციის რისკის ქვეშ აყენებენ.

- Facebook-მომხმარებელი [ამტკიცებდა](#), რომ ვინც ნებსით ან უნებლიეთ თანაუგრძნობს კიევის რეჟიმს, ასევე მხარს უჭერს (1) სეიზმას - ბრძოლას მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ, (2) „ლგბტ სიბილწის“ დაკანონებას და (3) ნეონაციზმს. აღნიშნული მომხმარებლის თანახმად, ამჟამინდელი კონფლიქტი გამოწვეულია უკრაინელების მიერ საკუთარი ისტორიისა და იდენტობის დავიწყებით, მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებით, „ბინძური“ ლგბტ ადამიანების კიევში ჩატარებით, ნეონაციზმის აღმავლობით, ფაშისტი-ბანდერელების გმირებად გამოცხადებითა და საკუთარი მოსახლეობისთვის მოწყობილი რვაწლიანი გენოციდით.
- პროკრემლისტურმა გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ უკრაინის უშიშროების სამსახური დალუპული სამხედრო მოსამსახურეების ორგანოებით უკანონო ვაჭრობაში [დაადანაშაულა](#).

უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარება

- პრორუსული „ალტ-ინფო“ [ამტკიცებდა](#), რომ სტრატეგიულ შეიარაღებაში რუსეთის უპირატესობიდან გამომდინარე ვერც დასავლეთის მიერ მიწოდებული „ჰაიმარსები“ და ვერც მთელი NATO-ს შეიარაღება ან აშშ ვერ შეძლებდა უკრაინაში ომის შედეგის შეცვლას.
- ანტიდასავლური პოლიტიკური პარტია „ქართული იდეის“ წევრმა [განაცხადა](#), რომ დასავლეთი ზუსტად იმდენ სამხედრო და ფინანსურ დახმარებას (შეიარაღების შესაძენად) უწევს უკრაინას, რამდენიც საკმარისია ორ მოძმე ქვეყანას შორის ომის გაჭიანურებისა და მასზე დაკვირვებისთვის.

დეზინფორმაცია სანქციების ეკონომიკური შედეგების შესახებ

განგრძობადი ტენდენციის სახე (თუმცა, ინტერაქციების ზომიერი მაჩვენებლით) შეინარჩუნეს გზავნილებმა ეკონომიკური სანქციების შესახებ, რომელთა მიხედვით, სანქციები რუსეთზე ზეგავლენას ვერ ახდენს და მას მხოლოდ აძლიერებს, მაშინ როდესაც დასავლეთი უფრო მეტად ზარალდება და ენერგოკრიზისის საფრთხის წინაშეა:

- პრორუსულად განწყობილი Facebook-მომხმარებელი [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული დასავლური სანქციების შედეგად, რუსეთმა დასავლეთზე უპირატესობა მოიპოვა. მისი თქმით, პუტინი აღნიშნულ უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებს, რადგან ევროპას წინ გრძელი და ცივი ზამთარი ელოდება და საინტერესოა, რამდენი ქვეყნის მთავრობა გადაურჩება განრისხებული ხალხის პროტესტს.

- პრორუსული „ალტ-ინფოს“ ეთერში, ყოფილი დეპუტატი და პროპაგანდისტი, დემურ გიორხელიძე, [ამტკიცებდა](#), რომ ევროპას რუსული გაზის ალტერნატივა არ გააჩნია. მისი თქმით, ალტერნატიული მიწოდების ვარიანტები მხოლოდ აზერბაიჯანული და ჩრდილოეთ აფრიკული გაზით შემოიფარგლება, მაგრამ ინფრასტრუქტურის არარსებობა შეუძლებელს ხდის მოკლე ვადაში საჭირო რაოდენობის გაზის მიწოდებას ევროკავშირისთვის რუსული გაზის იმპორტის ჩასანაცვლებლად. გიორხელიძის დასკვნით, ევროპისთვის ერთადერთ ვარიანტს წარმოების შეჩერება წარმოადგენს. თუმცა, მას ენერგომომარაგების სხვა წყაროები, მათ შორის თხევადი გაზის ტერმინალები, საერთოდ არ უხსენებია. დემურ გიორხელიძემ რუსეთის მიმართ „გაუთვლელი და ირაციონალური“ სანქციების პოლიტიკის გამო დასავლეთი კიდევ ერთხელ [გააკრიტიკა](#). მისი შეფასებით, ევროპამ რუსეთს მრავალი სანქცია დაუწესა, თუმცა შეგნებულად დატოვა კონკრეტული მიმართულებები ენერგოსაჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. დემურ გიორხელიძე ასევე ამტკიცებდა, რომ რუსული სასუქის გარეშე ევროპელ ფერმერებს ასაღები მოსავალი მკვეთრად შეუმცირდებათ, რასაც ასევე ხელს უწყობს მწვავე გვალვა ევროპაში. ამავე კონტექსტში, გიორხელიძემ განაცხადა, რომ ევროპულ მრეწველობას მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება რუსული ბუნებრივი აირის გარეშე, რაც ქარხნების იძულებით გაჩერებას გამოიწვევს.
- პრორუსული „ალტ-ინფოს“ პირდაპირ ეთერში საუბრისას, „კონსერვატიული მოძრაობის“ თელავის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ილია მეგრელიშვილმა, [გაიმეორა](#) პროპაგანდისტული მანტრა, რომ რუსეთზე დაწესებული სანქციები არ მუშაობს. მან ასევე ხაზი გაუსვა ენერგოკრიზისით შექმნილ გაუსაძლის პირობებს ევროპაში, როდესაც რიგითი ევროპელები ზამთარში გასათბობად ცდილობენ, შეშა მოიმარაგონ. ამას გარდა,

მეგრელიშვილი ამტკიცებდა, რომ დასავლეთი საქართველოს აღიქვამს არა როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, არამედ როგორც სამხედრო პოლიგონს და ცდილობს ქვეყანა და მისი რესურსები საკუთარი ეკონომიკური განვითარებისთვის გამოიყენოს.

- პრორუსული „ალტ-ინფო“ [ამტკიცებდა](#), რომ რუსეთმა უკვე დაიკავა გაერთიანებული სამეფოს ფართობის ტოლი ტერიტორია და უკრაინის უძღურების ფონზე კვლავ წინ მიიწევს. პროპაგანდისტული არხი ამტკიცებდა, რომ რუსეთის შეჩერება სანქციებით იყო და იქნება არაეფექტური და ამ ანგლოსაქსური პოლიტიკით მხოლოდ ევროპა დაზარალდება.
- რუსული პროპაგანდისტული მედია „სპუტნიკ-საქართველოს“ [თანახმად](#), გაეროს შუამავლობით მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, უკრაინული მარცვლეული იგზავნება არა ისეთ ქვეყნებში სადაც სურსათის დეფიციტია (როგორებიცაა: იემენი, სომალი და ეთიოპია), არამედ ევროპაში. „სპუტნიკ-საქართველომ“ ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ განბლოკილი უკრაინული პორტებიდან ტრანსპორტირებული მარცვლეულის მხოლოდ მცირე ნაწილი იგზავნება განვითარებად ქვეყნებში და ამ გზით დასავლეთის ეგოისტური ბუნების წარმოჩენა სცადა, რომელიც საერთოდ არ ზრუნავს მათზე, ვინც გასაჭირში იმყოფება. თუმცა, StopFake-ის (უკრაინული ფაქტების გადამმოწმებელი ორგანიზაცია) [განმარტებით](#), აღნიშნული მტკიცება მანიპულაციურია და უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული პორტებიდან გასული გემების უმრავლესობა კომერციულ ტრანსპორტირებაშია ჩართული, მათ გადააქვთ ჯერ კიდევ ომამდე ხელმოწერილი კონტრაქტებით შესყიდული მარცვლეული და გაეროს თანახმად, კომერციული ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო მარცვლეული ბაზრის სტაბილიზაციაში თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც

უკრაინიდან ტრანსპორტირებული ხორბალი პირდაპირ სურსათის დეფიციტის მქონე ქვეყნებს არ მიეწოდებათ.

- რუსეთის მხარდამჭერი Facebook-მომხმარებელი [ცდილობდა](#) საზოგადოების დარწმუნებას, რომ თუ რუსეთი შეწყვეტს უკრაინის გავლით ევროპაში გაზის მიწოდებას, ევროკავშირის ერთადერთი ალტერნატივა დარჩება ჩრდილოეთის ნაკადი 1 და ჩრდილოეთის ნაკადი 2 მილსადენები და აღნიშნავდა, რომ დასავლური საშუამავლო კომპანიები რუსულ გაზს რუბლებში ყიდულობენ, ხოლო დანარჩენ ევროპაში უფრო მაღალ ფასად ყიდიან. Facebook-პოსტში ასევე გაჟღერებული იყო ვარაუდი, რომ ნაკლებად მოსალოდნელია კრემლი დათანხმდეს რუსეთის მიერ უკრაინაში უკვე დაკავებული ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორიების კიევის კონტროლქვეშ დაბრუნებაზე. Facebook-მომხმარებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ევროპამ დაიწყო სანქციების მოხსნა რუსულ ნავთობზე.
- პრორუსმა ჟურნალისტმა ვალერი კვარაცხელიამ [გაიმეორა](#) გზავნილი, რომ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები უკუშედეგების მომტანია და განაცხადა, რომ სანქციები ზიანს ატენებს არა რუსეთს, არამედ ევროკავშირს და შედეგად რუსული რუბლი გამყარდა. კვარაცხელია ამტკიცებდა, რომ ევროკავშირისთვის რჩება მხოლოდ ორი ალტერნატივა: (1) დაუშვას რუსული გაზის იმპორტი და გადაარჩინოს ეკონომიკა (თუმცა, მისი შეფასებით, აღნიშნული გაზრდის რუსეთის ზეგავლენას ევროკავშირის ქვეყნებზე) და (2) ევროკავშირის კიდევ ერთი ალტერნატივა არის სრულად აკრძალოს რუსული გაზის იმპორტი, რაც ნიშნავს რომ ევროკავშირი საკუთარ ეკონომიკას დაანგრევს. სტატიაში გაჟღერებული მოსაზრებით, მიმდინარე მწვავე ენერგოკრიზისი, სავარაუდოდ, გამოიწვევს ევროკავშირის დაშლას, ხოლო ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოები ცალ-ცალკე გაარკვევენ ურთიერთობას რუსეთთან, პუტინი კი სწორედ ამის მიღწევას ცდილობს.

რუსეთის მხარდამჭერები კვლავ საქართველოს ნეიტრალიტზე მსჯელობენ

NATO-ს საწინააღმდეგო გზავნილები:

- ანტიდასავლურმა Facebook-გვერდმა „სექტა“ [გაიმეორა](#) კრემლის გზავნილი, რომ რუსეთმა ყირიმი და აფხაზეთი NATO-ს გამო დაიკავა. გვერდმა გაავრცელა ყალბი მტკიცება, რომ როგორც კი უკრაინამ ნეიტრალურობის კურსიდან გადაუხვია, ყირიმი მომენტალურად დაიკარგა, ხოლო 2013 წლამდე, სანამ უკრაინა ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, მას რუსეთისგან საფრთხე არ ემუქრებოდა. თუმცა სინამდვილეში, უკრაინამ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ყირიმის უკანონო ანექსიის შემდეგ შეცვალა. Facebook-გვერდი ასევე ამტკიცებდა, რომ NATO-მ საქართველო 20 წლის განმავლობაში არ მიიღო საკუთარ რიგებში და დაასკვნა, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტის გამოცხადება აუცილებელი იყო.
- მარგინალურმა ანტიდასავლურმა მოძრაობამ, სახელად „მოძრაობა ძლევადი საკვირველი“, საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოცხადებისკენ [მოუწოდდა](#). თუმცა, მოძრაობამ ასევე ღიად გააკრიტიკა რუსეთი და ამტკიცებდა, რომ ისინი არ დაუშვებენ რომ დასავლეთმა ან რუსეთმა საქართველო საკუთარ მონა სახელმწიფოდ აქციონ, რადგან პირველს საქართველოს NATO-ში შეთრევა აქვს განზრახული, მეორეს კი - „კუხო“-ში.
- „ალტ-ინფომ“ [გაავრცელა](#) ნიჰილიზმი ევროატლანტიკურ მისწრაფებებთან დაკავშირებით და ამტკიცებდა, რომ რადიკალ ლიბერალებსაც კი (იგულისხმება პროდასავლური ჯგუფები), ადარ სჯერათ საქართველოს NATO-

ში გაწევრიანების. მათი მტკიცებით, საქართველო, შესაძლოა, ფორმალურად გახდეს დასუსტებული ევროკავშირის წევრი, მაგრამ ვერასდროს შევა NATO-ში.

- „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ NATO და ევროკავშირი დაიშლება და აშშ-ში სამოქალაქო ომი გაჩაღდება.

პროპაგანდისტული ჯგუფები აგრძელებენ ორგანიზებულ თავდასხმებს აშშ-სა და აშშ-ის ელჩზე საქართველოში:

- „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგიონული წარმომადგენელი „ალტ-ინფოს“ ეთერში [ამტკიცებდა](#), რომ როდესაც რუსეთი უკრაინაში ომს დაამთავრებს შემდეგი სამიზნე საქართველო გახდება, მაგრამ საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე აშშ არაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მისი განმარტებით, აშშ-ის გულგრილობა შესაძლოა აიხსნას ვაშინგტონის მიზნით, დაშალოს და დაანაწევროს საქართველო, როგორც ეს 2008 წელს გააკეთა.
- ანტიდასავლურმა Facebook-გვერდმა „2012-იანელებმა“ ირონიულად მადლობა [გადაუხადა](#) კელი დეგნანს, რადგან მან ნილაბი ჩამოხსნა აშშ-ის რეალურ სახეს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე საქართველოს მეგობრად მიიჩნეოდა.
- პროსახელისუფლებო ექსპერტმა, ზაზა შათირიშვილმა, კელი დეგნანი საქართველოს მიმართ კოლონიურ დამოკიდებულებაში [დაადანაშაულა](#). მან ასევე აშშ-ს ელჩს ბრალი დასდო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული ევროპული კურსის მხარდამჭერი მიტინგის ხელშეწყობაში. შათირიშვილი გაიმეორა გზავნილი, რომ აშშ აშანტაჟებს ბიძინა ივანიშვილს, რადგან ამ უკანასკნელმა რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩართვაზე უარი განაცხადა.

დასავლეთი - საქართველოს ყველა პრობლემის მიზეზი:

- Facebook-გვერდებმა [„პოლიტიკური სატირა“](#) და [„სოლიდარობა მშვიდობისთვის“](#) გამოაქვეყნეს იდენტური შინაარსის პოსტები, სადაც ამტკიცებდნენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა სააშკარაოზე გამოიტანა „კოლექტიური დასავლეთის“ დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. მათი პოზიციით, დასავლეთი საქართველოს აღიქვამს ინსტრუმენტად რუსეთის წინააღმდეგ. აღნიშნული Facebook-გვერდები აშშ-ს რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოს ჩათრევის მცდელობაში ადანაშაულებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ერთი მეტროპოლია სსრკ-ს სახით ჩაანაცვლა მეორემ - დასავლურმა მეტროპოლიამ და შესაბამისად, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დასავლეთი საქართველოს კოლონიად მიიჩნევს.
- „ალტ-ინფოს“ რესპონდენტი [ამტკიცებდა](#), რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე დასავლეთის ზეგავლენა მცირდება, რასაც ადასტურებს მრავალი მკვლევარი, სოციოლოგი და პოლიტოლოგი. მან ასევე [გააჟღერა](#) მოსაზრება, რომ ევროპა და აშშ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოს მანიპულირებას ეწევიან და და ცდილობენ, სახელმწიფო გადატრიალების გზით მოქმედი ხელისუფლება დაამხონ.
- პროგრემლისტური და პროსტალინურად განწყობილი ფიგურა გრიშა ონიანი ღიად მხარს [უჭერდა](#) ნარატივს - „არა ევროპას“, რადგან მისი თქმით, დასავლეთი იმპერიალისტურ და დამპყრობლურ პოლიტიკას ეწევა.

ყურადღება, ლაპარაკობს მოსკოვი: რუსული დეზინფორმაცია Facebook-სა და Instagram-ზე

რუსული პროპაგანდის ონლაინ წყაროები აგრძელებენ ყალბი მტკიცებების გავრცელებას, აუდიტორიის დასარწმუნებლად რომ, ერთი მხრივ, მოსკოვი იძულებული იყო დაეწყო „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ დონბასის რეგიონში „გენოციდის“ დასასრულებლად და მეორე მხრივ, რუსი სამხედროები წარმატებით „ათავისუფლებენ“ უკრაინას „ნაცისტური“ რეჟიმისგან.

Facebook-ზე კრემლის მხარდამჭერი [ანგარიშების](#) მიხედვით, რომლებმაც უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიკოლა აზაროვის ძველი ბლოგ პოსტი გააზიარეს, დასავლეთი ღიად ამზადებს რუსეთზე ბირთვულ თავდასხმას და უკრაინაში შეჭრა იყო მოსკოვის მხრიდან გადადგმული პრევენციული ნაბიჯი. აღნიშნული მტკიცება, თავის მხრივ, წარმოადგენს ერთ-ერთ უსაფუძვლო არგუმენტს, რომელსაც რუსული წყაროები უკრაინაში არაპროვოცირებული ომის გასამართლებლად იყენებენ.

ამასთან ერთად, სხვა პრორუსული წყაროები [ამტკიცებდნენ](#), რომ ერთ-ერთი ქართველი მოხალისე მებრძოლის გადაწყვეტილება, ომში მიღებული ჭრილობების შემდეგ შეეწყვიტა ბრძოლა და დაეწყო მკურნალობა, წარმოადგენდა მინიშნებას, რომ უკრაინა ომში მარცხდება. აშშ-ის გეტოს ტიპის დასახლების [ვიდეოს](#) გავრცელებით, რუსი ტროლები ამტკიცებდნენ, რომ სანქციებმა პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ აშშ-ში ცხოვრების დონის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია.

უყურადღებოდ არ დარჩენილან არც უკრაინელი ლტოლვილები. რუსულმა პროპაგანდისტულმა წყაროებმა გააყალბეს ესპანეთის ზამორას პროვინციაში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით ესპანურენოვან ახალ ამბებზე დადებული სუბტიტრები და გაავრცელეს ყალბი მტკიცება, თითქოს ესპანური ტელეარხის ინფორმაციით, ხანძრის მიზეზს უკრაინელ ლტოლვილთა მიერ რუსეთის დროში დაწვის მცდელობა

წარმოადგენდა. „ფაქტ-მეტრმა“ მოცემულ [სტატიაში](#) გააბათილა აღნიშნული დეზინფორმაცია.

გარდა ამისა, რუსული პროპაგანდისტული წყაროების საყვარელი „ტრადიციული ფასეულობების“ კონტექსტში მორიგ სამიზნედ იქცა ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი კერსტი კალიულაიდი. Facebook-ზე გამოქვეყნებული ყალბ [ფოტოსურათზე](#) დატანილი წარწერის თანახმად, ფოტოზე გამოსახულია კალიულაიდი და მისი ვაჟი, როდესაც, სინამდვილეში, ფოტოსურათი ასახავს ესტონეთის პრეზიდენტის მიერ ესტონელი მწერლის მიკ პარნიცის დაჯილდოვებას ძალადობის პრევენციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.



ანგარიში მომზადდა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) მიერ „პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის“ (Open Information Partnership (OIP)) მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს OIP-ის პოზიციებს.